დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)
სსიპ -ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94
საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნინო უგრეხელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვლადიმერ უშიკიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

## ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 208142794 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი თბილისი,<br>ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი თბილისი,<br>ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა |
| საფოსტო ინდექსი | 3167 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | არ აქვს |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | tbilisis94@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 032 2706595 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სტანდარტი N1, სტანდარტიN2,სტანდარტიN4 და მეტწილ შესაბამისად შეაფასა სტანდარტი N3 შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში:
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2023 წლის22 აგვისტოს ბრძანება N MES 923 000 1023472 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 28 და 29 სექტემბერი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაწყებითი საფეხური | დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქალაქი თბილისი, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა |
| 2 | საბაზო საფეხური | საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქალაქი თბილისი, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | საშუალო საფეხური | საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქალაქი თბილისი, ზ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 28 – 29 სექტემბერს, სსიპ ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტიშემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნინო უგრეხელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის  საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის  საგნობრივი ექსპერტი

ავთანდილ  ცნობილაძე - ტექნოლოგიების  საგნობრივი ექსპერტი

ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

დავით  კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის  საგნობრივი ექსპერტი

ვლადიმერ უშიკიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი კუპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით ვითარებაში.  ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ

დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები ვესაუბრეთ როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივმა ექსპერტებმა სკოლის პედაგოგებთან შეხვედრა განახორციელეს ონლაინ.
28 სექტემბერს ZOOM-ის საშუალებით კათედრების მიხედვით საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე, ხოლო 29 სექტემბერს ZOOM-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიათან დაკავშირებით.
სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო, სკოლის მასწავლებლები და თანამშრომლები ზრუნავდნენ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| - | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| სტანდარტი 1<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 1.1<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 1.2<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სტანდარტი 3<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.1<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.2 | ☐ **შეესაბამება** |

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.3<br>პროცესების მართვა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.4<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.5<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.6<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.7<br>ფინანსური რესურსები | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სტანდარტი 4<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.1<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.2<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br><br>2165 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br><br>☒ | აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას) |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☐ | |

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:დაწყებითი საფეხურის პროგრამა, საბაზო საფეხურის პროგრამა, საშუალო საფეხურის პროგრამა

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

| სტანდარტი N1 | | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | ხარვეზი |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
| | | |
| ინდიკატორი | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.2.1.4. | სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და | 2023-2024 სასწავლოწლის სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორებ |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. | და რესურსი.<br><br>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 2023-2024 სასწავლო  წლის სამოქმედო გეგმა შესაბამისი ცვლილებებით (შესრულების ვადა 20.08.2023 – 10.11.2023). |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ | |
| ინდიკატორი N 3.1.2.3. | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; | თანამშრომელთა ნაწილს სრულად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი  შესაბამისობის გეგმით, სკოლამ 2023 წლის 31 ოქტომბრამდე უზრუნველყო თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება. |
| ინდიკატორი 3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას დ პირველადი დახმარების აღმოჩენას. | • სკოლამ ვერ წარმოადგინა  შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნ შენობის სახანძრო უსაფრთხოებასის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;<br><br>• სკოლამ ვერ წარმოადგინა  შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნ |

| | | |
|---|---|---|
| | | შენობის  მდგრადობასთან დაკავშირებით;<br><br>• ცეცხლმაქრების რაოდენობა არ შეესაბამება სავაკუაციო გეგმით განსაზღვრული ცეცხლმაქრების რაოდენობას.<br><br>შესაბამისობის გეგმით, საკითხის 2023 წლის 15 ნოემბრამდე მოგვარების მიზნით, სკოლამ განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებისა და შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. დაწესებულებაში 2023 წლის 11 სექტემბერს განხორციელდა შემოწმება, შედგა აქტი N238 და გაიცა რეკომენდაციები,  რომელიც უნდა შესრულდეს სკოლის  მიერ. |
| ინდიკატორი 3.5.1.3 | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; | • სკოლას არ აქვს პანდუსები/ლიფტი.<br>• სკოლას არ აქვს ადაპტირებული ტუალეტი.<br><br>სკოლის  მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2024 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის მოგვარებას. |
| ინდიკატორი N 3.6.3.1. | სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ | სკოლას არ აქვს ვებ გვერდი<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის |

| | | |
|---|---|---|
| | გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; | გეგმით,სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე<br>(შესრულების ვადა 29/09/2023) |
| ინდიკატორი N 3.6.3.4. | სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; | სკოლას არ აქვს ვებ გვერდი<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით,სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე<br>(შესრულების ვადა 29/09/2023) |
| ინდიკატორი N 3.6.3.5. | ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. | სკოლას არ აქვს ვებ გვერდი<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით,სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და სხვა (შესრულების ვადა 29/09/2023) |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| | | |

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.1.1.2. | სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს | სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და გაითვალისწინოს ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვა და უსაფრთხო სკოლის ორიენტირები. |
| ინდიკატორი N1.1.1.5. | სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი | სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსოს სკოლის ვებ გვერდზე (რომლის შექმნასაც გეგმავს 2023-2024 სასწავლო წელს |
| ინდიკატორი N1.2.2.3. | სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა | დაწესებულებას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები (დამტკიცებული ანგარიშები) განათავსოს საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ გვერდზე. |
| სტანდარტი | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი | სკოლაში მოქმედი სტრუქტურული | სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში მოქმედი |

| | | |
|---|---|---|
| N3.1.1.1 | ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული | სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი და გაწეროს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. |
| ინდიკატორი N 3.2.1.4. | სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; | სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა არა მხოლოდ ახალი მასწავლებლის, არამედ ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის  შესახებ. |
| ინდიკატორი N 3.4.1.5. | სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას | სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტად შეიმუშავოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები,სადაც გაწერილი იქნება მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, მონაცემებზე წვდომაზე უფლების მქონე პირები და მათი უფლება - მოვალეობები. |
| ინდიკატორი N3.6.3.3. | საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად | დაწესებულებას მიეცა რჩევა საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს ერთიან დოკუმენტი, იმის შესახებ, თუ რა ფორმით და როგო მოხდება საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის გამოყენება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | რჩევა |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლას შესაბამის ვადებში გადაეგზავნა დასკვნის პროექტი. დაწესებულებამ წარმოადგინდა პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ დამატებით წარმოადგინდა შესაბამისობისგეგმა (სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები) ხარვეზის აღმოფხვრასთან  დაკავშირებით დანართებით

(მტკიცებულებებით). ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორები 1.2.1.4, 3.1.2.3, 3.6.3.1, 3.6.3.4 და 3.6.3.5 შეფასდა როგორც შესაბამისი.

ინდიკატორი 3.4.1.1 და ინდიკატორი 3.5.1.3 შეფასდა, როგორც მეტწილი.

პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილი

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1.  სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2023-2024 სასწავლო წელს გარკვეული ცვლილებები შეიტანა წლების წინ შემუშავებულ და დამტკიცებულ მისიაში, ხედვასა და ღირებულებეში და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შემდეგი ფორმულირებით:

მისია - სკოლა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. უზრუნველყოფს მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების მაღალ ხარისხს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაცულ გარემოში, ხელს უწყობს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. ქმნიან გარემოს, რომელშიც მოსწავლეები ივითარებენ კულტურული ღირებულებებისა და მრავალფეროვნების პატივისცემის უნარს, აცნობიერებენ ინტერკულტურული დიალოგის მნიშვნელობას პოზიტიური სასკოლო გარემოს შესაქმნელად და თავად არიან მისი შექმნის მონაწილეები.

ხედვა: სსიპ ჯამბურ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლა არის ღია საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს ხარისხიანი განათლების, უსაფრთხო, პოზიტიური გარემოსა და მოსწავლეების დემოკრატ, მოაზროვნე, წიგნიერი, დამოუკიდებელი, გლობალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბების ყველაზე კონკურენტუნარიან კერას.

სკოლის ღირებულებებია: გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.დაწესებულებაში შექმნილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეები შეძლებენ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. სასკოლო სასწავლო გეგმასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროგრამებში (USAID -ის სამოქალაქო განათლების პროგრამა, USAID -ის საბაზისო განათლების პროგრამა), შექმნილია კლუბები და წრეები, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილია რესურს ოთახი, შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმები, გაწერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, თუმც, სკოლის ფილოსოფიაში ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობა არ იკითხება.

<u>სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და შეიტანოს მასში ცვლილებები ინკლუზიურ გარემოზე ზრუნვასა და უსაფრთხო  სკოლის ორიენტირებთან დაკავშირებით.</u>

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის თვითშეფასების კითხვარით, დაწესებულებას წლების წინ შემუშავებული  ჰქონდა  მისია, რომლის გადახედვა და შემუშავება დაგეგმილი ჰქონდა 2023 წლის სექტემბრამდე. სკოლამ განაახლა მისია და აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

- დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის ბრძანება N 2-289 სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ (რომელშიც გაერთიანებულები არიან მასწავლებლები, მშობელთა წარმომადგენელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი);
- დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის ბრძანება N 2-291 სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლაში არსებული მატერიალური მდგომარეობისა და სასწავლო პროცესის შესახებ, 2023 წლის ივნისსა და აგვისტოში სასკოლო თემის, მოსწავლეების, მასწავლებელთა, მშობელთა და ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალის ჩართულობით ჩატარებული კვლევის მასალები;
- Microsoft Forms -ის გამოყენებით საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სკოლის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით სექტემბერში განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზი;
- სკოლის თვითშეფასებისა და კვლევის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით შემუშავებული განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები.

ვიზიტის პერიოდში, აღნიშნული მასალების გაცნობით დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტის წარდგენისას პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სკოლის მისია და ხედვა. სკოლის თანამშრომლები საგნობრივი კათედრების სხდომებზე ეცნობიან აღნიშნულ მასალებს. გარდა ამისა, მისია და ხედვა მატერიალური სახით განთავსებულია დერეფნებში და განცხადებების დაფაზე. მშობელთა კრების ოქმებით დგინდება, რომ დამრიგებლები აღნიშნულ საკითხს განიხილავენ N 1 მშობელთა კრებაზე.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა და ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, იკითხება სასკოლო სასწავლო და სამოქმედო გეგმებში. სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მშობელთა კრებებზე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა. <u>სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსოს სკოლის ვებ გვერდზე (სკოლა გეგმავს ვებ გვერდის შექმნას) მისი საჯაროობის ხარისხის გაზრდის მიზნით.</u>

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. სკოლის სახელწოდება - ,,სსიპ ქალაქ თბილისის N 94 საჯარო სკოლა“, შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N47/ნ ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ.)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- დირექტორის ბრძნება  N 2-289 (20/06/2023) სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ
- დირექტორის ბრძანება N 2-291(20/06/2023) სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის  შესახებ
- 2023-2024 სასწავლო წლების სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობელთა კრების ოქმი N1
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7
- კვლევის მასალები

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია/წესი. აღნიშნული წესი ადგენს მმართველობითი პროცესის ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის ბრძანებით N 2-291 განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარებისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელი პირი (დ/ მოადგილე ხარისხის მართვის მიმართულებით).

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებაში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლე თვითმმართველობიდან და მშობელი მშობელთა საინიციატივო ჯგუფიდან.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1.სკოლის მისიის,ხედვისა და ღირებულებების შემუშავება;

2. სტრატეგიული გეგმის შემუშავება;

3. სამოქმედო გეგმის შემუშავება;

4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შესრულების ანგარიში.

მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს სტრატეგიული 7 წლიანი განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N7 სხდომაზე და თავსებადია სკოლის მისიასა და ხედვასთან. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის სვოტ ანალიზის შედეგები და ახალი გამოწვევები. დოკუმენტის შემუშავების პროცესზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის.
აღნიშნულ წლებში სკოლის სტრატეგიული მიმართულებები იქნება: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სასკოლო საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება.
ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.
3.სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: აქტივობა, პრობლემის აღწერა, გადაჭრის გზები, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და შედეგი/შენიშვნა.
სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 7 ძირითადი მიმართულება:

- <u>მოსწავლეთა უფლებების დაცვის ორგანიზება</u> - საკლასო ოთახებისა და კაბინეტების წესრიგში მოყვანა, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის რესურს ოთახის მომზადება/განახლება, მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, მოსწავლეთა წესების შემუშავება, თვითმმართველობის არჩევნები და შედეგების გაშუქება მედიაკლუბ ,,თანამგზავრის“მიერ, პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოებისა და ბუკების გადაცემა, ღია კარის დღეების მოწყობა, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა და სხვა;
- <u>საგნობრივ კათედრებთან მუშაობა</u> - შეფასების მეორე მოდელის განხილვა, თემის, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებსა და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების არჩევნების ჩატარება, ვერიფიკაციის მექანიზმის დამუშავება, მეთოდური კვირეულის ჩატარება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განხილვაში მასწავლებელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და სხვა;
- <u>სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელმძღვანელობა</u> - ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმება, არაფორმალური აქტივობების გრაფიკის შედგენა, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, სსსმ მოსწავლეებისთვის ინდ. გეგმების შედგენა და დამტკიცება, სწავლებაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ორგანიზების ხელშეწყობა, ცალკეული საგნების სწავლა/სწავლების პროცესის დიაგნოსტირება და მონიტორინგი, სასწავლო პროცესში კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დანერგვის ჯგუფის სამუშაო გეგმის შედგენა და პასუხისმგებელი

პირების განსაზღვრა საგნების მიხედვით, საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სხვა;

- სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებები - აქტივობები საგნობრივი კათედრების მიხედვით;
- სკოლის, მშობელთა ჩართულობის, თემის და საზოგადოების ერთობლივი მუშაობის ორგანიზება - მშობელთა საინიციატივო ჯგუფის შექმნა, მშობლის დღეები სკოლაში, კვირეულის დაგეგმვა, პროექტ izrune.ge-ში მშობელთა ჩართულობა და სხვა;
- სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებები - კლას-კაბინეტების მოწყობა, შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, 2024 წლის ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ და სხვა;
- სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესება - ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება, სამკითხველო დარბაზში თემატური გამოფენების გადახალისება, კითხვის მოყვარულთა კლუბის მუშაობის ხელშეწყობა, წიგნის კვირეულის ჩატარების ორგანიზება, მწერლებთან და გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა.

დაწესებულების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია თვითშეფასების შედეგები, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, განხორციელების რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, მაგრამ სამოქმედო გეგმის სავალდებულოდ შესავსები ველებით არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შესაბამისი ცვლილებებით (შესრულების ვადა 20.08.2023 – 10.11.2023).
ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-30 წწ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-291 (20/06/2023) განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია მიზნები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები: მონიტორინგის ზოგადი პროცედურა, მონიტორინგის განხორციელების სიხშირე, პროცესზე პასუხისმგებელი პირი და სვოტ ანალიზი.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა წელიწადში ორჯერ ახორციელებდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ყველა სტრუქტურული ერთეულის და პასუხისმგებელი პირის ჩართულობით (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეები, კლასის დამრიგებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა).

როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, მასწავლებელთა/სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომებზე მიღებული ინფორმაციის შეჯამებას და სვოტ ანალიზს ახდენს სკოლის დირექტორი.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებული ერთიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. პედაგოგიური საბჭოსა (ოქმიN7) და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებში N 6 იკვეთება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების განხილვა. ანგარიშის საჯაროობის მიზნით, სკოლა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიურ საბჭოს. დაწესებულებას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები (დამტკიცებული ანგარიშები) განათავსოს საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დოკუმენტაციის გაცნობითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. სკოლამ გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შედეგების გათვალისწინებით დაგეგმა 2023 -2024 სასწავლო წელი.

სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- დირექტორის წლიური ანგარიში (2023 წელი)
- 2022-2023 სასწავლო წლის სვოტ ანალიზი
- კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმიN7
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 6

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

- დირექცია (დირექტორი, 2 მოადგილე, 1 ბუღალტერი);
- ადმინისტრაცია (1 საქმისმწარმოებელი, 1 მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 საინფორმაციო მენეჯერი);
- ტექნიკური და მომსახურე პერსონალი (1 ექიმი, 6 დამლაგებელი, 3 დარაჯი)
- სამეურვეო საბჭო (13 წევრი);
- პედაგოგიური საბჭო;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები);
- დისციპლინური კომიტეტი (9 წევრი - 3 პედაგოგი, 3 მშობელი, 3 საშუალო საფეხურის მოსწავლე);
- მრჩეველთა საბჭო;
- მანდატურის სამსახური.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობა და სხვა პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დირექტორის მოადგილის, საქმის მწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, ბიბლიოთეკარის, ბუღალტრის, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქცია - მოვალეობები.

<u>სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი და გაწეროს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.</u>

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. ამას

ხელს უწყობს სკოლაში არსებული თანამშრომლობითი კულტურა. დირექცია შეიმუშავებს საშტატო განრიგს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებელსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების დადებას და შესრულებას.
პედაგოგიური საბჭო, დირექტორთან ერთად მონაწილეობს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლო მასალას, ირჩევს საკუთარ წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში.
სკოლას ჰყავს 13 წევრისგან შემდგარი სამეურვეო საბჭო, რომელიც სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, დირექტორის მიერ მომზადებულ სკოლის ანგარიშს, უზრუნველყოფს მის საჯაროობას და ა.შ.
დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სამეურვეო საბჭოს წევრთა უმრავლესობით, ერთი წლის ვადით არჩეულია დისციპლინური კომიტეტი (რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი და მშობელი. ასევე, საშუალო საფეხურის მოსწავლე). საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფარული კენჭისყრით ირჩევენ სკოლის თვითმმართველობას, რომელიც ყოველწლიურად ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილია სასკოლო კლუბები.
სკოლაში შექმნილია 8 საგნობრივი კათედრა, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი.
სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას.
ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სამუშაო აღწერილობები
- შრომითი ხელშეკრულებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- თვითმმართველობის არჩევნების მასალები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები

- სამეურვეო საბჭოს ოქმიN7
- პედაგოგიური საბჭოს ოქმიN6
- საგნობრივი კათედრების ანგარიშები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული

შემდეგი დოკუმენტაციის მიხედვით:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (დამტკიცებულია 2023 წლის 18 სექტემბრის, სამეურვეო საბჭოს N7 სხდომაზე).

დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის მიზნები, პრინციპები და ამოცანები, პერსონალის სამსახურში მიღების წესი და პროცედურები, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვის პოლიტიკა.

- სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია აკადემიური საქმიანობის ძირითადი პრინციპები, სამუშაო კვირის

ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები და ა.შ.

- სკოლაში ფუნქციონერებს 15 მასწავლებლისგან შემდგარი კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას.

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას ადამიანური რესურსის საჭიროების დროული ანალიზის მიზნით განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრევენციულ ღონისძიებებს. ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი პოლიტიკა:

- სხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია-მოვალეობებს (საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის შეთავსების მიზნით);
- ახალი გამოწვევების მიღების მიზნით კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით, განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.);
- საგაკვეთილო ცხრილის აწყობისას გათვალისწინებულია საგნის მასწავლებლის სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში, მისი იმავე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლით ჩანაცვლების შესაძლებლობა და/ან შემცვლელი მასწავლებლის აყვანის პრაქტიკა (სკოლა მუშაობს ორ ცვლაში და დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე);
- სხვა თანამშრომლის მოწვევა.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი, რომლის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა. სკოლამ წარმოადგინა მასალები ღია კონკურსის წესით თანამშრომელთა მიღების თაობაზე (დირექტორის ბრძანება N1კ-48 (30/08/2023). კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ეტაპები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებ გვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. გათვალისწინებულია გასაჩივრების წესი და პროცედურები. საკონკურსო მასალების გაცნობით (ბრძანებები, საკონკურსო სხდომის ოქმები, შერჩევის კრიტერიუმები) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი და სკოლაში მასწავლებლის დასაქმების საკითხი დარეგულირებულია კანონმდებლობის შესაბამისად, თუმც, თანამშრომელთა პირადი საქმეების გაცნობისას დაფიქსირდა, რომ თანამშრომელთა ნაწილს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, სკოლამ 2023 წლის 31 ოქტომბრამდე უზრუნველყო თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგება.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.
4. სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. დაწესებულებაში სულ დასაქმებულია 137 ადამიანი. მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. 2 არის მენტორი, 79 - უფროსი , 33 - წამყვანი, 2 უსტატუსო მასწავლებელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები არიან: ფსიქოლოგი, 2 სპეციალური მასწავლებელი და 3 სპეციალური საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.
სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.მასწავლებელთა შესახებ მონაცემები, პირადი საქმის გარდა, ასახულია eschool-ის ბაზაში.
ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრის წევრები მონაწილეობენ კურიკულუმების შემუშავების პროცესში და ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს და ა.შ. სკოლა მუდმივად არის ჩართული გრძელვადიან პროექტებში, რომლებიც ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას (USAID, ახალი სკოლის მოდელი-მათემატიკაში, დებატები განათლებისთვის, კომუნიკაციების კომისიის პროექტი-მედიაწიგნიერების ინტეგრირება ფორმალურ განათლებაში და ა.შ.). დაწესებულება ტუტორის დახმარებით მხარს უჭერს მასწავლებლის პროფესიაში შესვლას და განვითარებას (გასულ სასწავლო წელს დაწესებულების 2 მაძიებელ მასწავლებელთან მუშაობდა ტუტორი), მასპინძლობს პედაგოგიური პრაქტიკის გავლის მსურველ სტუდენტებს. სკოლას აქვს ინიციატივების, წინადადებების, საჭიროებების განხილვისა და მხარდაჭერის გამოცდილება. მაგალითად, თვითმმართველობის საბჭოს სხდომებზე მოსწავლეები აფიქსირებენ გარკვეულ ინიციატივებს და ათანხმებენ სკოლის დირექციასთან. მშობელთა ინიციატივები თავს იყრის „მშობელთა კლუბის“ შეხვედრებში, ხოლო თანამშრომელთა მხრიდან წამოსული ინიციატივები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებული

6. სკოლას შემუშავებული აქვს როგორც მოსწავლეების, ისე პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პოლიტიკა. კერძოდ, საჯარო შექება, მადლობის გამოცხადება, პროფესიული განვითარების პროგრამის დაფინანსება, საერთაშორისო ტურებში ჩართვა, დაჯილდოვება და სხვა (შინაგანაწესი, მუხლი10, მუხლი 11). შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირია ურთიერთდასწრებები, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა. გარდა ამისა, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სასწავლო წლის დასაწყისში ცხადდება კონკურსები შემდეგ ნომინაციებში: წლის საუკეთესო კლასი, წლის საუკეთესო მასწავლებელი/მოსწავლე . წარმატებული ნომინანტები ჯილდოვდებიან მადლობის სიგელით, ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით.ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- EMIS ამონაწერი
- საშტატო განრიგი
- ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ
- teachersjobs.ge
- პირადი საქმეები
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები
- შინაგანაწესი

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი (რომელშიც გაერთიანებულია ყველა საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი). წახალისებულია პროფესიული ზრდის მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი. პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომლები გადიან ტრენინგებს, შემუშავებულია გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები. სამუშაო შეხვედრებს ატარებენ სკოლის 2 მენტორი მასწავლებელი.
   ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი აქტიურად იყო ჩართული G-Pried-ის პროგრამაში, მონაწილეობდა STEM-ის ტრენინგებში. სკოლა აქტიურად იყო ჩართული „ახალი სკოლის მოდელში“, ასევე USAID საბაზისო განათლების პროგრამაში.
   დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. 2023წლის 18/09 სამეურვეო საბჭოს N7 სხდომაზე დამტკიცებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. განსაზღვრულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები, ღირებულებები, კადრების მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის, მოტივაციის გაზრდის, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საკითხები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა ჩართულია გრძელვადიან პროექტებში (USAID, ახალი სკოლის მოდელი) და თანამშრომელთათვის ქმნის მამოტივირებელ გარემოს. კერძოდ, 2023 წელს გამოცხადებულ ტრენინგ- კურსზე „ბულინგი“ დარეგისტრირდა 73 მასწავლებელი, ციფრული კომპეტენციების ამაღლების მიზნით 2022 წელს ჩატარდა სამუშაო შეხვედრები მენტორი მასწავლებლის მიერ. თანამშრომელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხდება პედაგოგთა რეგისტრაცია შესაბამის ტრენინგებზე, კონფერენციებზე და ა.შ. მიღებული გამოცდილების გაზიარებას ემსახურება სამუშაო შეხვედრები, ურთიერთდასწრებები, ერთობლივი გაკვეთილების ჩატარება და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლის პროფესიაში შესვლასა და განვითარებას. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებული იყო ორი მაძიებელი მასწავლებელი. ტუტორი მასწავლებლების მხრიდან რეგულარულად ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირის მიცემა (ორივე მაძიებელი გახდა უფროსი მასწავლებელი), ხუთმა მასწავლებლებმა წარმატებით ჩააბარა პროფესიული უნარების გამოცდა. სკოლა მასპინძლობს პედაგოგიური პრაქტიკის გავლის მსურველებს. გასულ სასწავლო წელს პედაგოგიური პრაქტიკა გაიარეს ქართულის, სამოქალაქო განათლების, ისტორიისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის სტუდენტებმა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლებთან თემატური შეხვედრების თემატიკა (მაგ., განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, გამოცდილების გაზიარება, კათედრებს შორის თანამშრომლობა და სხვა). მასწავლებელთა სტატუსების მიხედვით შრომით ხელშეკრულებებში გაწერილია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსის გავლის ვალდებულება. Teams - ის პლატფორმაზე შექმნილია მასწავლებელთა ჯგუფი. მასწავლებელთა მხარდამჭერი აქტივობები ხელს უწყობს მათ კარიერულ წინსვლას. რაც შეეხება პერსონალის პერსონალის კარიერულ ზრდას, სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებას და აწვდის ინფორმაციას არსებული შესაძლებლობების (ტრენინგების, კონფერენციების და ა.შ) შესახებ .
ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური და თანამშრომლებითი გარემო. სკოლას აქვს ტრადიცია ახალზედა მასწავლებლების სასკოლო გარემოში ინტეგრაციის. თითოეულ მათგანთან წლის დასაწყისშივე განისაზღვრა თითო წამყვანი მასწავლებელი საგნობრივი კათედრიდან, რომელიც ეხმარება გაკვეთილის დაგეგმვაში, ესწრება და თვალს ადევნებს გაკვეთილის წარმართვის პროცესს, აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის დირექტორი ახალ თანამშრომელს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას. საქმისმწარმოებელი აცნობს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა არა მხოლოდ ახალი მასწავლებლის, არამედ ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5 დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.წლის ბოლოს განსაკუთრებული აქტიურობისთვის რამდენიმე მასწავლებელს გადაეცა ფასიანი გრავირებული აზრა და მადლობის სიგელი (მათემატიკური ოლიმპიადის, კონკურსის რა?სად?როდის?, დებატების კლუბის, eTwinnig პროექტის განხოეციელებისთვის), მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში ჩატარებულ კონფერენციაში (კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით).

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მხარდაჭერი ჯგუფის დებულება
- სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- თანამშრომელთა პირადი საქმეები

- ადამიანური რესურსების მართვის დებულება

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. სკოლას ჰყავს დ/მოადგილე ხარისხის მართვის მიმართულებით. ვიზიტის პერიოდში მან წარმოადგინა პორტფოლიო, რომელიც მოიცავს წლების მიხევით (2021 დან) შემდეგ ინფორმაციას: კათედრების სამუშაო გეგმები და შესრულების ანალიზები (სემეტრული და წლიური), მასწავლებელთა პორტფოლიოების ანალიზები, მასწავლებელთა სამოქმედო გეგმები, პროფესიული განვითარების გეგმა, სადამრიგებლო კლასის მასალები. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების ფორმები, მასწავლებლის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები და ა.შ. გარდა ამისა, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა პერსონალის შეფასებისას

აქტიურად იყენებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვების შედეგებს, მოსწავლეთა, მშობელთა, თანამშრომელთა უკუკავშირებს.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო კურიკულუმში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მაგ. მრჩეველთა საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობა, საჭიროებიდან გამომდინარე სიტუაციური გადაწყვეტილებების მიღება (მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები, მშობელთა ფოკუს ჯგუფებთან პრობლემების იდენტიფიცირებისთვის დირექციისა და მოწვეული სპეციალისტების შეხვედრები, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროექტი) და სხვა. როგორც ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, სკოლაში ორი წელია ხორციელდება პროექტი „მშობლის ერთი დღე სკოლაში“, რომელიც ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას და მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას. ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, რომლებიც ასრულებენ კანონმდებლობით (შინაგანაწესი და სხვ.) გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს და ქმნიან დაცულ და უსაფრთხო გარემოს სკოლაში. სასკოლო საზოგადოებასთან  გასაუბრებით ირკვევა, რომ  სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები, და მშობლები /კანონიერი წარმომადგენლები იცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 14, მუხლი 22), არეგულირებს გასაჩივრების წესს. სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვაზე მუდმივად ზრუნავს და მონიტორინგს ახორციელებს მანდატურის სამსახური.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, ამ მიზნით სკოლა თანამშრომლობს სსიპ მანდატურის სამსახურთან. სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების გაცნობის მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე და კლასის საათის ფარგლებში ხდება შინაგანაწესის გაცნობა. მშობლები შინაგანაწესის, სასკოლო-სასწავლო გეგმის და სხვა აუცილებელ ინფორმაციის გაცნობას ადასტურებენ ხელმოწერით, რომელსაც უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი.  სკოლის პერსონალის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. ხოლო სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მშობელთა კრების ოქმები
- დირექტორის ბრძანება N1/კ-207 ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად დაწესებულებას გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, მშობელთა კრებები და შეხვედრები. მნიშვნელოვანი სასკოლო დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და გაზიარების მიზნით სკოლას Teams -ის პლატფორმაზე შექმნილი აქვს თითოეული საგნობრივი კათედრის სამუშაო ჯგუფი. ყველა ფუნქციურ კლასს (სულ 77 კლასი) ჰყავს დამრიგებელი, რომლებიც კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით უზრუნველყოფენ მშობელთა ინფორმირებას. სკოლის მმართველობით პროცესებში ჩართულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები (მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, მშობელთა კლუბი და სხვა), რაც ხელს უწყობს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას.
ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდისა და კოლეგიალური ორგანოების ქმედუნარიანობისთვის ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. კოლეგიალურ ორგანოებში გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, შემუშავებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, უფლებამოსილებები და ა.შ. სასკოლო საზოგადოების წევრები სურვილის შემთხვევაში მონაწილეობას იღებენ სამეურვეო საბჭოს, კათედრის თავმჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, და ა.შ.

არჩევნებში. მათ უფლება აქვთ დააყენონ თავიანთი კანდიდატურა, აწარმოონ საარჩევნო კამპანია, ასევე ხმა მისცენ სასურველ კანდიდატს. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, მშობლები და მასწავლებლები ინფორმირებული არიან არჩევნების წესის შესახებ.
ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებელთა კლუბი დებულება
- სკოლის სტრუქტურა
- დირექტორის მოადგილის ანგარიში
- 2022-2023 სასწავლო წლის სვოტ ანალიზი

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები: უზრუნველყოფილია სკოლაში შესვლა-გასვლის კონტროლი და ვიზიტორთა აღრიცხვა, შემუშავებული და დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტი - სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი (დირექტორის ბრძანება ნ 2-366), რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სკოლის სპეციფიკური ადგილების ჰიგიენურად დასუფთავების ინსტრუქციები. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მეთოდები და პროცედურები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. სკოლას ემსახურება 1 ექიმი და 1 ექთანი.

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრების რაოდენობა არ შეესაბამება საევაკუაციო გეგმით განსაზღვრული ცეცხლმაქრების რაოდენობას, კერძოდ, ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმით განსაზღვრული 4 ცეცხლმაქრის ნაცვლად განთავსებული მხოლოდ 2 ცეცხლმაქრი. სკოლას აქვს საევაკუაციო გასასვლელი. დირექტორის ბრძანებით N2-105 (06/04/2016) გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით დასკვნის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები, რომლის შესასრულებლადაც ფინანსური რესურსების ძიებაშია. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ყველა სართულზე განთავსებულია უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული საევაკუაციო გეგმები.

სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

რაც შეეხება შენობის მდგრადობას, სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

შესაბამისობის გეგმით, საკითხის 2023 წლის 15 ნოემბრამდე მოგვარების მიზნით სკოლამ განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები შენობის სახანძრო უსაფრთხოებასის შესახებ დასკვნის მოპოვებისა და შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით. დაწესებულებაში 2023 წლის 11 სექტემბერს განხორციელდა შემოწმება, შედგა აქტი N238 და გაიცა რეკომენდაციები,რომელიც უნდა შეასრულოს სკოლამ.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მიხედვით შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო. დაცულია მოსწავლეთა როგორც ბავშვთა უფლებების კონვენციით, ისე სახელმწიფო კანონმდებლობით და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული უფლებები. სკოლას აქვს სტრუქტურულად გაწერილი პროცედურა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, სასწავლო პროცესის დასრულებამდე, მოსწავლის სკოლიდან გასვლის შესახებ (საშვთა სისტემა). ვიზიტორის მონაცემები აღინიშნება სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში 5 მანდატური მუდმივად აკონტროლებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემას და სკოლის მორიგეებთან და კლასის დამრიგებლებთან ერთად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლაში სწავლობს 30 სსმ მოსწავლე, რომელთა სასწავლო პროცესში ჩართულობასა და ქცევის მართვაზე ზრუნავს ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კლასის საათის თემები ითვალისწინებს მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვას. დირექტორის ბრძანებით N 2-31(14/02/2019) გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას. სადამრიგებლო საათზე განიხილება დამრიგებლის მიერ დაკვირვების შედეგად დადგენილი და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შერჩეული თემები. სკოლაში სუფევს კეთილგანწყობილი და მშვიდი ატმოსფერო, რაც ქმნის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით შემუშავებული და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული 6 დამლაგებელი. მუდმივად ივსება სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების მარაგი (რომელიც ინახება სპეციალურ სათავსოებში).

დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია სანიტარული ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (მტუკი), რომელიც კონტროლს უწევს ზოგადად სკოლის ტერიტორიაზე ჰიგიენური ნორმების დაცვას და სანიტარული კვანძების სტანდარტის შესაბამისად დასუფთავებას. ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. ელექტრონულ სისტემაში სასკოლო საზოგადოების წევრთა პირადი მონაცემები დაცულია პაროლებით, კომპიუტერებში შენახული ინფორმაციის დაცვაზე ზრუნავს IT სპეციალისტი, მატერიალურად არსებული ინფორმაცია განთავსებულია სპეციალურ საცავში და პასუხისმგებელია საქმის მწარმოებელი. როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა, საზოგადოების წევრის პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ხდება მხოლოდ პიროვნების თანხმობით, ხოლო მოსწავლის პირადი ინფორმაციის - მშობლის ან მეურვის თანხმობით. განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას მიეცა რჩევა, დოკუმენტად შეიმუშავოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები,სადაც გაწერილი იქნება მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, მონაცემებზე წვდომაზე უფლების მქონე პირები და მათი უფლება-მოვალეობები.
ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6.საინფორმაციო მენეჯერის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ

მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საინფორმაციო მენეჯერი პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე, თუმც, სკოლას არა აქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები და გეგმა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, ელექტრონული ფორმით გაცემასა და პრაქტიულად გამოქვეყნებაზე გამოყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. ყველა დოკუმენტი, რომელთა ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული, ინახება სასკოლო სივრცეში (არქივის ოთახში).

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

7.სკოლა მანდატურების დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას. კერძოდ, საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. მრჩეველთა საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები: ფსიქოლოგთა, საინფორმაციო მენეჯერთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- 2023 წლის 5 სექტემბრის (N 2588547) მიწერილობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად.
- საევაკუაციო გეგმა
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დებულება

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირე კონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის სკოლას აქვს

შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლა არის 4 სართულიანი. საჯარო რეესტრის ამონაწერით (17/10/2017) სსიპ თბილისის N 94 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს მისამართზე: ქ. თბილისში, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა . სკოლის დაზუსტებული ფართობია 15 530 კვ.მ. სკოლის შენობის ფართია 5 840 კვ.მ. აღნიშნული ფართი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად სკოლაში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლობს 2136 მოსწავლე. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით. სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსით (კოლბები, მულაჟები, მიკროსკოპები, მაგნიტები და სხვა), 2 კომპიუტერული ლაბორატორია და ერთი ,,მომავლის კლასი“,

1 სპორტული დარბაზი ფართით 279,39 კვ.მ სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარით: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები და სხვა. აქვს ღია სპორტული მოედანი, საცურაო აუზი (რომელიც გაცემულია იჯარით), სააქტო დარბაზი.
ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.
2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში არის სააქტო დარბაზი, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, ,, მომავლის კლასი“, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და სხვა. საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება ხდება წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით. სკოლის სააქტო დარბაზი ხშირად ეთმობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებს. ბიბლიოთეკით სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები.
გარდა ამისა, სკოლას აქვს თავისუფალი სივრცე მეოთხე სართულზე, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროექტისა თუ პრეზენტაციის ჩასატარებლად.
ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი და 3 სპეციალური საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე და აღჭურვილია ტექნიკითა და რესურსებით. დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშო, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების -,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებს.

სკოლას არ აქვს ლიფტი და/ან პანდუსები, რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილების და სკოლის ტერიტორიით სარგებლობის შესაძლებლობას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დაწესებულება 2024 წლის 5 სექტემბრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის მოგვარებას.
ინდიკატორი 3.5.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები,

სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა

სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ხშირად იმართება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, პრეზენტაციები, ვიქტორინები. სკოლა შეხვედრების, ღონისძიებების, პრეზენტაციების ჩასატარებლად აქტიურად იყენებს შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვილ სააქტო დარბაზს და „თავისუფალ სივრცეს“. გარე სპორტული მოედანი პასუხობს მინი მოედნის სტანდარტებს, სპორტული დარბაზი საჭიროებს რეაბილიტაციას, მაგრამ იძლევა შესაძლებლობებს საგაკვეთილო პროცესის და სპორტული შეჯიბრებების მოსაწყობად. ეზოს გამწვანებაზე ზრუნავს სასკოლო საზოგადოება მშობელთა აქტიური ჩართულობით და ა.შ. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების დიდი ნაწილი. კერძოდ, კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები (რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განხორციელებას). ბიბლიოთეკაში არის მხატვრული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მეთოდური ლიტერატურა და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ბიბლიოთეკართან.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი - ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ლაბორატორიის აღჭურვილობა, 2 ისტ - ისა და ჯეოსელი კაბინეტები (მომავლის კლასი), ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი
- კომპიუტერებით სარგებლობის წესი

შეფასება:
◦ გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში არსებული 2 კომპიუტერული ლაბორატორია და ,,მომავლის კლასი“ ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის როგორც საგაკვეთილო დროს, ისე გაკვეთილების დასრულების შემდეგ. სკოლაში მოძველებული, მაგრამ მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერები და ახალი ლეპტოპებია, კეთილმოწყობილია  ,,მომავლის კლასი“ (ჯეოსელის ოთახი). საკომუნიკაციოდ გამოყენებულია სოციალური ქსელი და სასწავლო პროგრამა Microsoft Teams, თანამშრომლობს etalon.ge-თან. ჯეო-კლასში არსებული ლეპტოპები საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა შეისწავლონ და პრაქტიკულად გამოიყენონ პროგრამები Code.org, scratch და ა.შ. სკოლას ასევე აქვს რადიო ქსელი, რომელიც ფარავს ყველა სართულს  (მას აქტიურად იყენებენ შესვენებებზე მოსწავლეებისთვის პოზიტიური გარემოს შესაქმნელად და საგანმანათლებლო ინფორმაციის გასაზიარებლად).
ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.
2.დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას. სკოლაში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების 2 კაბინეტი,  ,,მომავლის კლასის“ 1 ოთახი, შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი და განრიგი. სკოლა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის (Teams, Messenger,  Facebook)  მეშვეობით.  დაწესებულების  აიტი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის

წარმართვას. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლას გადაეცა 14 ახალი ლეპტოპი, რომელიც განთავსებულია სამასწავლებლოში და ყველა მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ნებისმიერ დროს, საჭიროების მიხედვით. გარდა ამისა,დაწესებულებას აქვს 8 პროექტორი (აქედან ერთი განთავსებულია „ჯეო კლასში“). მეოთხე სართულზე მოწყობილი „თავისუფალი სივრცეში“ დამონტაჟებულია ტელევიზორი . ტელევიზორით უზრუნველყოფილია სკოლის პირველის სართულის შემოსასვლელი და ერთი საკლასო ოთახი.
ყველა პირველკლასელსა და მათ დამრიგებლებს გადაეცემათ ლეპტოპები.
ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი
- სასწავლო წლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი და ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N414 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ წესის, ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. სკოლას აქვს საქმისწარმოების დებულება, ჰყავს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. ძირითადი საქმის წარმოება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ელექტრონული სისტემით ,, Eflow”, „email.mes.gov.ge” -სა და eschool.emis.ge-ზე. საქმის მწარმოებლის მიერ ხდება ფიზიკური ( მატერიალური) სახით შემოსული კორესპონდენციის კანონით განსაზღვრულ ვადებში დახარისხება, გატარება, დამუშავება, სკოლის თანამშრომლებისათვის მიწოდება, დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ ვადებში შესრულების პროცესის კონტროლის გაწევა, დირექტორისათვის გადაგზავნა და სხვა.
ინდიკატორი 3.6.2.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.საქმის წარმოება ძირითადად ხდება ელექტრონულად eflow, eschool და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. სკოლის თითოეული სტრუქტურა იყენებს თიმსის პლატფორმას საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის დროულად გაცვლის მიზნით შექმნილია მიზნობრივი ჯგუფები. მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოყენებულია სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eschool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, დაწესებულება იმართება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საქმის წარმოება ძირითადად ხდება ელექტრონულად eflow, eschool და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. სკოლის თითოეული სტრუქტურა საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის დროულად გაცვლის მიზნით იყენებს თიმსის პლატფორმას. მონაცემების განახლება და ასახვა დროულად ხდება ელექტრონულ სისტემებში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის. სკოლა ანგარიშვალდებულია დროულად მოახდინოს თავისი საქმიანობის შეჯამება(მაგალითად 1-ლი და 12 კლასების დამთავრების დროული აღრიცხვა და ა.შ.). საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. მას აქვს მუდმივი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი და ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის (უნარები, სამუშაო სივრცე, რესურსები და სხვა).

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- საქმისწარმოების წესი
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს , რომელზედაც წვდომა აქვს მშობლებს. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები ინფორმირებულები არიან თავიანთი შვილების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. მშობლებთან საკომუნიკაციოდ ასევე გამოყენებულია თიმსის პლატფორმა, სადაც მშობლებისთვის ატვირთულია კომპლექსური დავალების ბარათები. ყველა დამრიგებელს შექმნილი აქვს კლასის „ ჩატები" . სკოლას აქვს რამდენიმე აქტიური სოციალური ქსელის გვერდი (თანამგზავრი TV-94, თბილისი 94, სსიპ ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის 94 საჯარო სკოლა ) რომლებიც აწვდიან სასკოლო საზოგადოებას ინფორმაციას, მაგრამ სკოლას არა აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით,სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)</u>
<u>(შესრულების ვადა 29/09/2023)</u>

ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია..

2. სკოლის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირება ხორციელდება კონკრეტული პირების მიერ.

ინფორმაციის გამოქვეყნებამდე გვერდის მოდერატორები კონსულტაციას გადიან დირექტორთად. სკოლა წარმატებით თანამშრომლობს მედეაპროექტ etaloni.ge-სთან. სკოლა საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებისათვის იყენებს ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფები.
ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ცდილობს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებას აქვს აქტიური კომუნიკაცია სასკოლო თემთან, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებენ Teams-სა და messenger ჯგუფებს, Microsoft Forms. დაწესებულებას მიეცა რჩევა საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, იმის შესახებ, თუ რა ფორმით და როგორ მოხდება საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის გამოყენება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით,სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე (შესრულების ვადა 29/09/2023), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე,

ინდიკატორი 3.6.3.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას არ აქვს ვებ გვერდზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით,სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე (შესრულების ვადა 29/09/2023). შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები,საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.** სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. კერძოდ, სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით და აქვს ეკონომიკური შემოსავლები, რომლებიც მიემართება სკოლის განვითარებისკენ. ბიუჯეტი გათვლილია მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე, კომუნალურ გადასახადებზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა წახალისებაზე, საკანცელარიო ხარჯებზე, ჰიგიენურ პროდუქციაზე. ბიუჯეტის დაგეგმარებისას გათვალისწინებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის ანგარიშები, საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, მოსალოდნელი დაფინანსებები და ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმარებაში მონაწილეობას იღებენ შესყიდვების კოორდინატორი, სკოლის დირექტორი და სამეურვეო საბჭოს წევრები. სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების საფუძველს. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა - საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა, სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, წლიური ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

3.7.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმართებით, სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, სამეურვეო საბჭოს თანხმობით ხდება ბიუჯეტის კორექტირება. შესყიდვის გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე,
ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ. 2023 წლიდან სკოლა ჩართულია ხაზინის ელექტრონულ სისტემაში eTreasure.ge, რომელიც სკოლის ფინანსების დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემას უფრო მოქნილს გახდის.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები ითვალისწინებს მათ სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლებას და სხვა. აღნიშნული საკითხების უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს შინაგანაწესს. მოსწავლეთა ქცევის წესებს და თვითმმართველობის დებულებას. მოსწავლეთა უფლებების დაცვას ემსახურება დისციპლინური კომიტეტი, რომლის დებულებითაც რეგულირდება დისციპლინური გადაცდომის სახეები, რეაგირების ფორმები და

პროცედურები. მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ასევე ხორციელდება მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით (მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები და სკოლის პასუხისმგებლობა). შინაგანაწესის 22 -ე მუხლი განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე /საჩივარზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას ჰყავს პენიტენციური სისტემის პირობითი მსჯავდებული მოსწავლე.
მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს არჩევით სტრუქტურას. საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასიდან ერთი მოსწავლე თვითმმართველობის წევრია. როგორც მასალებიდან ირკვევა, თვითმმართველობის ერთ-ერთი ინიციატივა ეხებოდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მოსწავლეთა დაკვირვების შედეგების შესწავლას. ერთი კვირის განმავლობაში თვითმმართველობის წევრების ჩართულობით საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ წერილობით დაეფიქსირებინათ თავიანთი შეხედულებები, პრობლემები სკოლასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით (ანონიმურად). თვითმმართველობის წევრებთან ერთად დირექციამ გააანალიზა ინფორმაცია, გამოიკვეთა პრობლემები და დაიგეგმა მათი გადაჭრის გზები.
სკოლაში ხორციელდება პროექტი ,,თვითმმართველობის ერთი დღე სკოლაში“, რომლის ფარგლებშიც სკოლის ყველა რგოლის ფუნქცია-მოვალეობებს ირგებენ მოსწავლეები და თავად მართავენ სკოლას (ირჩევენ დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით ირჩევენ ადმინისტრაციისა და სხვა მომსახურე პერსონალს, ირგებენ მასწავლებლებისადა დამრიგებლების ფუნქციებს).სკოლაში ყოველ სასწავლო წელს იმართება შეხვედრები შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან. ვიზიტის ფარგლებში სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები ღებულობენ ინფორმაციას ბავშვთა და მოზარდთა უფლება - მოვალეობის შესახებ, ნაადრევ ქორწინებაზე და სხვა.სადამრიგებლო საათის თემატიკა ითვალისწინებს თემებს და საუბრებს ბულინგის, ჯანსაღი კომუნიკაციის, ემოციების მართვის შესახებ.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, მოსწავლის ქცევის წესები შემუშავდება მოსწავლეთა ჩართულობით და გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის მოსწავლეთათვის და მშობლებისთვის გაცნობის ვალდებულება(რაც დასტურდება დამრიგებლის ოქმებით). სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია იმ ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლის დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისისში მშობელთა მოთხოვნით შინაგანაწესის 24-ე მუხლის ზოგადი ფორმულირება შეიცვალა და დაზუსტდა ინფორმაცია სკოლაში მოსწავლის ჩაცმულობის წესთან დაკავშირებით. დამტკიცებული

შინაგანაწესი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით, სკოლა ცდილობა სასკოლო რეგულაციები იყოს გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. სკოლაში შემოსული ან მობილობის წესით გადმოსული მოსწავლის მშობელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულება უვადოა და წყდება მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სხვა სკოლაში გადაყვანის ან /და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება - მოვალეობები. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი
- მშობელთა კრების ოქმები
- ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელს შორის

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და

შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნასთან.
ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გადმოდის სხვა სკოლიდან მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას. დასტურის საფუძველზე ხდება მოსწავლის ჩარიცხვა შესაბამის კლასში (თუ მობილობის დროს მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება ზღვრულ რაოდენობას ( 25 მოსწავლე), სკოლა მოსწავლის მიღების და შესაბამის კლასში ჩარისცხვის საკითხს ათანხმებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან).

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის დირექტორის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. მე-5 კლასებში გერმანული, იტალიური და რუსული ენების სწავლება მშობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება (მშობლები იღებენ მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას და ადასტურებენ ხელმოწერით). ამავე პრინციპით შეუძლიათ მოსწავლეებს უცხოური ენის ცვლილება მე-10 კლასში.

X-XI-XII კლასის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა არჩევით საგნებთან მიმართებაში (არჩევით საგნად ისწავლება სახელმწიფო და ეკონომიკა, კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები). იჯარის ხელშეკრულებით ფუნქციონირებს ხატვის წრე, საცურაო აუზი. აღნიშნულ საგანმანათლებლო მომსახურებებთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმართება გაცნობითი საინფორმაციო შეხვედრები, მშობელთა კრებები, რომლის საშუალებითაც ხდება საგანმანათლებლო მომსახურებების სახეების, პირობების, სპეციფიკის და დადგენილი საფასურების შესახებ მშობლების ინფორმირება. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი.
ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებით არეგულირებს ინფორმაციის მიწოდების ფორმებს და საშუალებებს. გარდა ამისა, როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლა ავრცელებს და აახლებს ინფორმაციას სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ. არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი ინფორმაცია ვრცელდება როგორც სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფების, ასევე ონლაინ არხების (ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები) მეშვეობით.
ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ხელშეკრულებები მშობელთან
- დამრიგებლის დებულება.
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- იჯარის ხელშეკრულებები

შეფასება:

◦ გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას  აქვს ტრანზიციის გეგმა. სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციას ხელს უწყობს  სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო

პროგრამები, კანონმდებლობის შესაბამისი მოსწავლეთა მიღების წესი. სკოლის მედიაკლუბის „თანამგზავრი TV94"-ის მიერ მომზადდა სარეკლამო ვიდეო-რგოლი, რომლის საშუალებითაც აღნიშნულმა კლუბმა სკოლის უპირატესობები მეზობლად განთავსებულ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს გააცნეს, ხოლო 2023 წლის 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის დღეს - ბაგა-ბაღის სასკოლო მზაობის აღსაზრდელები მოწვეულნი იყვნენ სკოლაში  მოსწავლეთა ნახატების გამოფენაში.  პირველკლასელთათვის სექტემბერში  იმართება ღია კარის დღე.

ახალი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშესაწყობად სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები.
ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.
2. დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი პოლიტიკა: სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებაზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას (რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები), გარდა ამისა, პირველკლასელთათვის ეწყობა ექსკურსია სკოლაში. მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა (სასკოლო დოკუმენტებისა და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციების გაცნობის მიზნით). სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საგნის მასწავლებლებს და დამრიგებლებს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა და თამაშებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტი.

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის (მათ შორის სემესტრული გამოცდის, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების, ასევე ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის) სკოლაში იქმნება დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების განრიგი. როგორც დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, მეცადინეობები მიმდინარეობს აღნიშნული განრიგის შესაბამისად. განსაკუთრებით ხდება იმ მოსწავლეების მხარდაჭერა, რომელთაც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო შეექმნათ დამატებითი მეცადინეობის აუცილებლობა. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში დაინერგა განმავითარებელი შეფასების უკუკავშირის ფორმების გაზიარების პრაქტიკა. დაწყებით კლასებში, ელ. ჟურნალში თითოეულ საგანში კეთდება განმავითარებელი კომენტარები, რომელზედაც ხელი მიუწვდება მოსწავლესა და მისკანონიერ წარმომადგენელს. დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობებ კომპლექსური დავალების ბარათებს საგნებისა და კლასების მიხედვით. სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში. დირექციასთან, მასწავლებლებთან, ინტერვიუირების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს.თვითშეფასების დოკუმენტით და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს გაანალიზების შედეგად დგინდება, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, როგორც ზეპირი ფორმით, ასევე წერილობითი სახით. ელექტრონული ჟურნალის სპეციალურ ველში წერენ განმავითარებელ კომენტარებს, რაც ხელმისაწვდომია მშობლებისთვის.

ინდიკატორი **4.2.1.3.**დაკმაყოფილებულია**.**

4. სკოლას აქვს შინ სწავლების გამოცდილება, 2022-2023 სასწავლო წელს 5-მა მოსწავლემ (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების გამო) ისარგებლა შინ საწავლების მოდელით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინარული წარმოების წესი და სახეები. გასულ სასწავლო წელს სკოლამ მიიღო სემესტრული ქულის ამაღლების მიზნით მშობლის განაცხადი და განახორციელა კანონმდებლობთ გათვალისწინებული პროცედურები. სკოლას დამტკიცებული აქვს დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე რეფერირების წესი და გამოყოფილი ჰყავს ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. მრჩეველთა საბჭოს ორგანიზებით, საფეხურების მიხედვით, ეწყობა მშობელთა შეხვედრები რეფერირების საკითხების გაცნობის მიზნით. დაფიქსირებულია მოსწავლის რეფერირების შემთხვევები მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრთან. სკოლის მიერ ხდება ინფორმაციის მიწოდება საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების შესახებ. კლასის დამრიგებლის ჩართულობით ეცნობებათ მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. მშობლები ასევე ინფორმირებულები არიან მოსწავლეთა უფლებებზე შინ სწავლებასთან დაკავშირებით, რაც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

5.დაწესებულების დირექტორის განმარტებით სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო, საზოგადოებრივ და სათემო ცხოვრებაში. სკოლაში ფუნქციონირებს და აქტიურობით გამოირჩევა 9 კლუბი: დებატების კლუბი, პატარა მკითხველთა კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი,,მაძიებელი“, მკითხველთა კლუბი,,,,წიგნი+ერი94“, კლუბი ,,ციფრული სამყარო“, მშობელოთა კლუბი,,94-ე სკოლა და მშობლები“, ქართული ენის სიწმინდის დაცვის კლუბი ,,ლაზარე“, გოეთეს კლუბი , მათემატიკის კლუბი ,,უსასრულობა“ და მედიაკლუბი,,თანამგზავრი-TV94”. 2022-2023 სასწავლო წელს კულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით არჩეულ იქნა სასკოლო პროექტში ,,პალიტრა“. სკოლა 2020 წლის გაზაფხულიდან თანამშრომლობს ორგანიზაციასთან ,,დებატები უკეთესი განათლებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენინგები, სკოლის ბაზაზე გაიხსნა დებატების კლუბი (სკოლის ორი მოსწავლე გადამზადდა კარლ პოპერის საპარლამენტო ფორმატის მიმარულებითაც).

სკოლაში დამკვიდრებულია მოსწავლეთა მიერ ინოვაციური იდეებისა და პროექტების რეალიზებისათვის ხელშეწყობის

პრაქტიკა. მოსწავლეები დამოუკიდებლად და მასწავლებლების მედიატორობით, ახორციელებენ საკუთარ იდეებს.

სკოლის ტრადიციად იქცა მათემატიკური კლუბ ,,უსასრულობის“ მიერ ინიცირებული მათემატიკური ოლიმპიადა, რომელიც ტარდება ყოველწლიურად არა მხოლოდ სკოლის, არამედ ისან-სამგორის რაიონის და წალკის მუნიციპალიტეტიდან დამეგობრებული არწევანის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ფუნქციონირებს კლუბი ,,ციფრული სამყარო“. კლუბის მოსწავლეები ჩართულები არიან , საერთაშორისო პროექტებში (ჩემი ქვეყნის ბიომრავალფეროვნება) და და სხვა.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოოლაში 2023 წლის მარტიდან შექმნა მედიაკლუბი,,თანამგზავრიtv-94”,რომელსაც კურატორობას უწევენ სკოლის კურსდამათავრებულები.

ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.

6.დირექტორის განმარტებით, უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მათ თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. კერძოდ,მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა კონკურსებისა და პროექტების ჩატარება დაწყებით კლასებში.

ყველა სტრუქტურული ერთეული მოწოდებულია მისი შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს მოსწავლეებს აქტივობების ორგანიზებასა და ხარისხიანად წარმართვაში. სკოლას აქვს ლიდერი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის წახალისების მექანიზმები. კერძოდ, წლის ბოლოს სკოლის მედიაკლუბის დახმარებით მოსწავლეთა სიგელებითა დაჯილდოვება. სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს კვლევების ჩატარების გამოცდილება, მათ შორის მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების მიმართულებით. ამ აქტივობისთვის სკოლა იყენებს სოციალური ქსელიც. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესებში, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებასა და სკოლისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის შემუშავებაში (მაგალითად, შინაგანაწესი). მნიშვნელოვანია მშობელთა უკუკავშირი, რომლის მონაცემებიც გროვდება მშობელთა კრებების და მშობელთა გამოკითხვების საშუალებით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უკუკავშირს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 4.2.1.6.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის ოქმი N1

- თვითმმართველობის პორტფოლიო
- სკოლის საჭიროების კვლევის ანგარიში
- კლუბების პორტფოლიოები
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ამსახველი მასალები / აქტივობები
- მოსწავლის აკადემიური საკონსულტაციო/ მხარდამჭერი მომსახურების ამსახველი მასალები / აქტივობები
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ამსახველი მასალები/აქტივობები(მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება)

**1.2.2.** სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ საბაზო განათლების მიღება იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს აცნობს სხვადასხვა უნივერსიტეტისა თუ პროფესიული სასწავლებლის პროგრამებსა და შეთავაზებებს. პროფორიენტაციის საკითხები განიხილება კლასის სადამრიგებლო საათის ფარგლებში მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეებისათვის, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სსიპ კოლეჯ ,,სპექტრთან“, სადაც მოსწავლეები ვიზიტის დროს თავად ეცნობიან და მონაწილეობენ მათ ლაბორატორიებში მიმდინარე პროცესებში. გასულ სასწავლო წელს ჩვენი მოსწავლეები სპექტრის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ სიმულაციურ სამუშაოებში.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა შესაბამისი საფეხურის დასრულებამდე ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან მიზნობრივ ინფორმაციებს და გეგმავენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ გაწეული მომსახურების შეფასების მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა შეხვედრები მოსწავლეთა მშობლებთან. სკოლა ახდენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კურსდამთავრებულების მიერ მიღებული შედეგების აღრიცხვას. პერიოდულად აგროვებს ინფორმაციას მათი დასაქმების შესახებ. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ეს მონაცემები მათთვის მნიშვნელოვანია და მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვა.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა
- მემორანდუმი.

**1.2.3.** სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე ხორციელდება სსსმ მოსწავლეთა რეგისტრაცია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სკოლაში შეფასებულია 30 სსსმ მოსწავლე, რომლებთანაც მუშაობს ორი უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 3 სსსმ მოსწავლის ასისტენტი და ფსიქოლოგი. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შექმნილია ისგ ჯგუფი. ისგ.ჯგუფის შეხვედრები იმართება სასწავლო წლის მანძილზე მინიმუმ ოთხჯერ. სპეციალური მასწავლებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ახორციელებს წინასწარ შემუშავებულ ტრანზიციის გეგმას. კერძოდ, აწყობს შეხვედრას სსსმ მოსწავლესთან და მშობელთან, რომელთაც აცნობს სასკოლო გარემოს, რესურს ოთახს და დამრიგებელს. თითოეულ მოსწავლეზე სპეციალურ მასწავლებელს შემუშავებული აქვს ინტერვენციის გეგმა, რომელიც ეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ინტერვენციის გეგმაში გაწერილია

აკადემიური და კოგნიტური უნარები ეტაპობრივად და ხდება მათზე მუშაობა, როგორც რესურს ოთახში ასევე საკლასო ოთახში, სადაც აქტიურად იღებს მონაწილეობას.
ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.

1. სსსმ მოსწავლის მიმართ მხარდაჭერა გამოიხატება სკოლის საზოგადოების თანამშრომლის სხვადასხვა ფორმებში.

მაგალითად, ისგ-ის შემუშავების პროცესში სპეც-მასწავლებელთა თანამშრომლობა დამრიგებლებთან და საგნის პედაგოგებთან. რესურსებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების განხილვა დირექციასთან. ასევე, აღინიშნება დირექციის მხრიდან მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია და თანამშრომლობა. სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია, საგნის მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები, სპეციალური მასწავლებლები, მშობლები, ტექნიკური პერსონალი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა მშობლები ხშირად ესწრებიან და ატიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისშიებებში,მათ დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში.
2. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების შეძენას, კლასის დამრიგებელი სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით ზრუნავს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე , სპეც.მასწავლებლებს და ფსიქოლოგს აქვთ ინტენსიური შეხვედრები მშობლებთან და მოსწავლეებთან. სკოლის რესურს ოთახი აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო რესურსებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების შეძენას, კლასის დამრიგებელი სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით ზრუნავს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე , სპეც.მასწავლებლებს და ფსიქოლოგს აქვთ ინტენსიური შეხვედრები მშობლებთან და მოსწავლეებთან. სკოლის რესურს ოთახი აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო რესურსებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სსგ ჯგუფის შესახებ
- შრომითი ხელშეკრულებები ფსიქოლოგთან
- ისგ გეგმები
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინდივიდუალური გეგმები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

**1.2.2.** სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არასავალდებულო ხასიათის მომსახურებებს,რომელიც ემსახურება მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ, პერსონალურ და კარიერულ ზრდასა და განვითარებას შემდეგი წრეების სახითკალათბურთი, კინგბოქსინგი, მუსიკალური წრე, ქორეოგრაფიული წრე.
სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს კვების სერვისს (იჯარით გაცემულია შესაბამისი ფართი). სკოლაში ასევე ფუნქციონირებს იჯარით გაცემული საცურაო აუზი.
ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის დამატებითი მომსახურება და არაფორმალური განათლების წრეები, კლუბები შეთანხმებულია სკოლის

სამეურვეო საბჭოსთან, განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსა და ქონების მართვის სააგენტოსთან. ფასიანი მომსახურების შემთხვევაში გაფორმებულია ხელშეკრულებები მშობელს, წრის ხელმძღვანელსა და სკოლის დირექტორს შორის. ყველა კლუბს აქვს საკუთარი სამოქმედო გეგმა და პროგრამა, რომელიც სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართს წარმოადგენს. აღნიშნულიმომსახურებები კი ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით.
ინდიკატორი 4.2.4.2.დაკმაყოფილებულია.

2. დამატებითი მომსახურების წრეები ფუნქციონირებენ განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათი დასწრების კონტროლს. სკოლა მომსახურებას ახორციელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.3.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფეხბურთის წრის კალენდარული გეგმა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- წრისა და კლუბების გეგმები;

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი *IV*. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

| ს ტა ნ და რტი **2** | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება
1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას
94-ე საჯარო სკოლა ახორციელებს საგნობრივი ჯგუფის პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლები დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, წარმოდგენილი საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, როგორიცაა: მოსწავლის, მშობლის, დირექციის. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის განხილვის შედეგად ვასკვნით, რომ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების,

შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას და წარმოდგენილია მეთოდოლოგია და პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება, განვითარება და რეალიზება სასწავლო პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დადასტურდა და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებშიც იკითხება, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულ კურიკულუმში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა ინტერესებს, შეხედულებებს და წარმოდგენილია კიდეც მსგავსი კურიკულუმები. სკოლაში ჩამოყალიბებულია მშობელთა საინიციატივო ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები ხვდებიამ სკოლის დირექციას და მასწავლებლებს. ამ შეხვედრებზე იკვეთება მათი ინტერესები, რომლებსაც ვითვალისწინებთ სასწავლო პროცესში. ასევე ვთანამშრომლობთ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან „მშობლები განათლებისთვის“ . ორგანიზაციის წარმომადგენელები ხვდებიან ორგანიზაციის წარმომადგენლებს, იგეგმება ერთობლივი აქტივობები. Forms-ის გამოყენებით კი მოსწავლეებთან ვაწარმოებთ გამოკითხვას მათი ინტერესების დასადგენად, რომელსაც რა თქმა უნდა ვითვალისწინებთ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში. სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო თემის გამოკითხვას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები - ყოველივე ეს გათვალისწინებულია მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. გარდა ამისა, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია და დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებისას, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები ერთმანეთთან და ასევე სხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრებთან თანამშრომლობით ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმების შემუშავებაში. უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს, ითვალისწინებენ გამოცდილებას და ერთობლივად შიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. ზოგად ორიენტირებზე თანხმდებოდნენ სხვადასხვა კათედრის წევრები ერთმანეთთან, ხოლო კონკრეტულ საგნობრივ ორიენტირებზე საგნების მასწავლებლები. ამ პროცესში აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფის წევრებსაც. ამრიგად, განაცხადეს კათედრის წევრებმა, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. განსაზღრულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის ფორმები. ფუნქციები და პასუხისმგებლობები ზოგი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - სპეციალური ბრძანებით არის დავალებული. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე. ასევე მათ მიერ წინასწარ მოწოდებული სასკოლო პროექტის მაგალითზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, იმისა, რომ მომავალ საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები უფრო მეტი აქტიურობით ჩაერთვებიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის შედეგად კიდევ უფრო უკეთ გამოიკვეთება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, გამოწვევები სწავლა-სწავლების პროცესში, პედაგოგები მეტად გამოიყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება და ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელებენ მუშაობას. კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლები, მოქმედებდა მშობელთა ბარათები, რომლითაც ინფორმირებულები იყვნენ კომპლექსურ დავალებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: საინფორმაციო შეხვედრები, მშობელთა საინიციატივო ჯგუფთან შეხვედრები, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მედია კლუბი, ელექტრონული ფოსტა, teams პლატფორმა, სკოლის FB გვერდი „თბილისის 94-ე საჯარო სკოლა“

https://www.facebook.com/tbilisis94sajaroskola, მშობელთა კრება, ფბ გვერდი „94 საჯარო სკოლა და მშობლები“, https://www.facebook.com/groups/1963143173992365. სასკოლო სასწავლო გეგმას იცნობს სასკოლო თემი და მათ შორის მშობლები, რადგან სასკოლო კურიკულუმის შედგენის დროს ისინი მაქსიმალურად არიან ჩართული ამ პროცესში. სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის ხელმძღვანელები, მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმებს, საგნის პედაგოგები აცნობენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. ასევე მშობლები სკოლის შესახებ ინფორმაციას იგებენ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა კლასის ხელმძღვანელებთან, საგნის პედაგოგებთან, დირექტორთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიიღონ ინფორმაცია ზემოთხსენებულ ყველა საკითხზე. დოკუმენტი ასევე თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს მასთან წვდომა. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, თითოეული წევრი თავს თვლის კურიკულუმის თანაავტორად, აცნობიერებს მის როლს (ძირითადად დირექცია და მასწავლებლები) . ,,დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ყველა მასწავლებელს აქვს დახურული ფეისბუქ ჯგუფები, სადაც მშობლებთან აზიარებენ კურიკულუმს კომპლექსურ დავალებებს. აგრეთვე სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეების დაარსებული მედია კლუბი, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს კურიკულუმის გაზიარების მიმართულებით'' - აღნიშნულია თვითშეფასების კითხვარში. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად კათედრა გეგმავს, რომ გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არსები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტები, ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კლუბის დებულება
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების დამეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს, კერძოდ რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს. კურიკულუმებში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისის შედარებისა და კონტექსმაგალითები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას მომავალშიც, სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ დაწყებითი საფეხურის მე-5, მე-6 კლასების მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების, რესურსების, ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. კომპლექსური დავალებების პროდუქტებში ჩანს დიფერენცირება. რესურსები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. დაწყებითის კათედრა იკრიბება სასწავლო წლის დასაწყისში და მუშაობს კომპლექსურ დავალებებში სწავლების უნივერსალური დიზაინზე და დიფერენცირებული მიდგომების ჩაშენებაზე სასწავლო კურიკულუმში, ეტაპობრივად ხვდებიან დაწყებითი კათედრის წევრები საგნებისა და პარალელების მიხედვით ერთმანეთს ახდენენ სასწავლო პროცესის რეფლექსიას''. პედგოგებსაც აქვთ სასკოლო კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობის მზაობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს

უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. სასკოლო კურიკულუმი, თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე, ეფუძნება ესგ საგნობრივ სტანდარტებს, მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. შესაბამისად, პედაგოგები სასწავლო გეგმას აგებენ იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს: გლობალური ფუნქციური უნარები, მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა აღწერეს ერთი კონკრეტული შემთხვევა, რაც ხელს უწყობს ზემოთ აღნიშნულ საკითხს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანეთთან, ეს იერარქია კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხების, ქვეცნებების და სამიზნე ცნებებით სახით. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შდეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლაში არა მარტო ფორმალურ განათლებას, არამედ არაფორმალურ განათლებას, რომლის უმნიშვნელოვან როლს ადასტურებენ კათედრის წევრები გასაუბრების დროს და აღნიშნავენ რომ არაფორმალური განათლება, სხვადასხვა პროექტების დაგეგმა და განხორციელება, მაქსიმალურად უწყობს ხელს ესგ-ით განსაზღრულ გრძელვადიან მიზნების მიღწევას და გლობალური ფუნციური უნარების განვითარებას მოსწავლეებში. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას კიდე უფრო მეტი მასშტაბით და აქტიურობით გააგრძელონ ამ მიმართულებით მუშაობა და წარმართონ სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, გაწერილია, რომ დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია, სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე და სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე შეძლებს მის ინტერესების დაკმაყოფილებას, მისი შესაძლებლობების რეალიზებას და თავს იგრძნობს კომფორტულად, სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის,

განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა კომპლექსურ დავალებებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობებს, ადაპტირებული დავალებებს, სხვადასხვა პროექტებს და მათ სურვილისამებრ ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ალტერნატიული სასწავლო გეგმები. სკოლის ინფრასტრუქტურული გარემოც მაქსიმალურად უწყობს ხელს მათი შესაძლებლობების და უნარების რეალიზებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლა 2023-24 სასწავლო წელს გადავიდა შეფასების მეორე მოდელზე, როდესაც განმსაზღვრელი ქულა იწერება მხოლოდ შემაჯამებელში. შემაჯამებელი რაოდენობას კი განსაზღვრავენ მათი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. კათედრაზე იქმნება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს და შეფასება განხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ამ რუბრიკებზე დაფუძნებით. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ მრავალფეროვნი შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ სკოლაში დაგეგმვის პროცესი ემთხვევა განვლილი სასწავლო წელს გაწეული სამუშაოსა და მიღებული შედეგების ანგარიშების წარდგენას და ანალიზს. მათ საფუძველზე იდენტიფიცირება ხდება გასაუმჯობესებელი და პრობლემური საკითხებისა, რომელთა შესახებაც მიმდინარეობს მსჯელობა. პედაგოგები ადგენენ

წარმოშობილი პრობლემების მიზეზებს. პოულობენ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს, მეთოდებს, საშუალებებს. მომდევნო სასწავლო წლისათის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ ამ ანალიზის დასკვნებს, მიგნებებს. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ეს პროცესი სკოლაში გაწერილია წარმოდგენილ დოკუმენტებშიც. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კათედრის სხდომაზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურადაა დანერგილი პედაგოგთა ურთიერთდასწრების პრაქტიკა. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ დაკვირვების შედეგებსა და მიგნებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები.
- მშობელთა კრების ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმი.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ნიმუში
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები
- დანართი-კურუკულუმის-შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
○ გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია  მხოლოდ  ერთი  გრაფის  მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ მოსწავლეებს ეძლევათ აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა სასწავლო პროცესში. კომპლექსურ დავალებებზე, კომპლექსუირი ბუნების მქონე დავალებებზე, სხვადასხვა პროექტებზე სოციალური იქნება ეს პროექტი თუ სასწავლო, აქტივობებზე, ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლების აქტივობებზე მუშაობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და რომელთა განხორციელების პროცესი მოიაზრებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების და ძალების მობილიზებას. ასეთი მიდგომები კარგად ჩანს და მიზნობრივად არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით შემუშავებულ კურიკულუმში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პედაგოგებმა დაადასტურეს  მზაობა  ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს ყოველ სასწავლო წელს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა სასწავლო აქტივობები, პროექტები და მათი განხორციელების ვალდებულება, იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მათი წარმატებით განხორციელება ახალი ცოდნის მიღება წინარე ცოდნის გათვალისწინების და გამოცდილების გარეშე ვერ მოხერხდება. ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე და ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. მოსწავლეებს ეძლევათ თემატური საკვანძო შეკითხვები, სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი, რომლებიც იწვევს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, პროვოცირებას ახალი ცოდნის შესაძენად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ მიდგომებს და პრინციპს „ სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით" აღნიშნეს კათედრის წევრებმა. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გარკვეულწილად გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში თითოეულ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ და ახლაც, როდესაც კომპლექსური დავალებებით სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ეს უფრო მარტივი გახდა, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით.კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, უდიდეს ყურადღებას ვამახვილებთ სწავლის სწავლაზე.

ვაფიქრებთ მოსწავლეებს არა მარტო, რა ისწავლონ, არამედ როგორ, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენონ სწავლა-სწავლებისას, რათა შეძლონ საკუთარი სწავლის მართვა, სწავლის დაგეგმვა და მონიტორინგი გაუწიონ თავიანთი სწავლის პროცესს. მაგალითად, შეაჯამონ შესასწავლი მასალა, გამოყონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, გააკეთონ ჩანაწერები, შეადგინონ დიაგრამები, აგერთვე შეეცადონ შესასწავლი საკითხის საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ, გაუსვან ხაზი ან გამოყონ სახელმძღვანელოში მთავარი ფრაზები, ინფორმაციის დასამახსოვრებლად ამოწერონ ძირითადი იდეები, დაყონ მთლიანი მასალა ნაწილებდ და ისწავლონ ნაწილ-ნაწილ და ა. შ. ასევე ყურადღებას ვამახვილებინებთ თუ როგორ შეძლოსნ საკუთარი ემოციების მართვა, როცა მოსწავლე რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან დაინახონ რა შეცდომა დაუშვა და იფიქროს მის გამოსწორებაზე, არ აჰყვნენ ემოციებს და ჰქონდეთ წარმატების იმედი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, კომპლექსური ტიპის დავალებების და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქტიურად მუშავდება ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული, რადგან მათზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული და მათი წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია ცოდნის ამ სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეულის) ერთიანობის გარეშე. იგივეს ადასტურებს კათედრის წევრები გასაუბრების დროსაც. დაწყებითი საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გარკვეულწილად გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. კომპლექსური დავალებების ეტაპები ისეა დაგეგმილი, რომ მასწავლებლის ყველა ნაბიჯი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის გამოყენებას კონკრეტულ მოცემულობასა და პირობებში. მოსწავლეები დეკლარატიული ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ გადადიან პროცედურულ და ბოლოს პირობისეულ ცოდნაზე. ეროვნული სასწავლო გეგმაში ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითს წარმოადგენს კომპლექსური დავალებებით მუშაობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში გაწერილი თემები, საკითხები, ქვესაკითხები რომლებიც წარმოდგენილია სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ამასთანავე თითოეული თემის ფარგლებში, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ეს კავშირები კარგად ჩანს არა მარტო წარმოდგენილი კურიკულუმებში და მასში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, არამედ სკოლის მიერ დაგეგმულ თუ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში თუ აქტივობებში. მათი განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა იმ ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტურობასა და სანდოობას შეეხება. ეს კი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. იგივე დასტურდება კათედრის წევრება გასაუბრების დროს. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო I,II,IV,V,VI კლასებისთვის.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- მშობელთა კრების ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმი
- თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის ფეისბუქ გვერდის ბმული;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების დაყრდნობით და რომლებშიც განსაზღრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები. გაწერილია ყველა სავალდებულო სასწავლო თემა, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტის ფარგლებში შედეგებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებას, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები კი აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით. კურიკულუმის განხორციელება კი დაგეგმილი კურიკულუმის მოთხოვნილებისამებრ ხორციელდება, ამიტომ გაწერილი თემა, საკითხები და ქვესაკითხები საუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, რაც გარანტია იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა

და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი და გასაანალიზებელი პრობლემები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, განსახორციელებელი აქტივობები, კონტექსტმაგალითები, შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასწავლო გარემო, პედაგოგების მიერ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები მიმართულია იქით, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების პედაგოგები კლასის დამრიგებლებთან ერთად ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებაზე, უსაფრთხოებაზე, მიკუთვნების გრძნობის გამომუშავებაზე.

ინდიკატორი 2.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. ვითვალისწინებთ მოსწავლის ინდივიდუალურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე  იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომ თითოეული მათგანი ხასიათდება სხვადასხვა აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, უნარით, თვისებებით, ამიტომ ვცდილობთ შესაბამისად შვქმნათ პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო, სადაც განსაკუთრებული

მნიშვნელობას მივანიჭებთ პოზიტიურ ურთიერთობებს და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს საკუთარი და სხვათა გრძნობების მართვა და სათანადოდ რეაგირება, ადაპტირება გარემოსთან, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და ამავდროეულად გაუგოს თანატოლებსაც, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას, ამასთანავე გამოხატავენ მზაობას იგივე მიდგომები გამოიყენონ მომდევნო სასწავლო წლებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2. 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას, შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება, შესაბამისად, შეფასება იქნება ვალიდური. მოსწავლეებს ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა- ამ შემთხვევაში შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ნიშანი და ქულა იქნება რეალისტური, დახვეწილი და არაორაზროვანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და გამოხატულებაა იმისა, რამდენად ასრულებს განმავითარებელი შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. მოსწავლის შედეგების განხილვა ხდება განხორციელებული შეფასებების მიხედვით. დაწყებითის კათედრაზე გაერთიანებული მასწავლებლები ყველა საგანში, ყველა მოსწავლისთვის დონეების მიხედვით ამუშავებენ განმავითარებელი შეფასების ცხრილებს 1 და მე-2 სემესტრის ბოლოს. აგრეთვე ერთმანეთთან შეთანხმებით კათედრაზე ამუშავებენ სხვადასხვა აქტივობების შესაფასებელ რუბრიკებს. ხდება შეფასების სისტემის პერიოდულად ანალიზი და შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასების და მონიტორინგის სამი მიმართულებიდან ზუსტად ორი მიმართლება: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მიმართულია ზუსტად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- მასწავლებელთა ხარისხის განვიტარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები

**შეფასება:**

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

2.3.2. 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, რომლებიც გამოყენებულია მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ურთიერთობისას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროეტების მონაწილეობის პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა ნაშრომებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტებში გაწერიალია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, თუ როგორ არის ჩართული მოსწავლე სწავლების პროცესში, დისკუსიის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მეცადინეობის, პრეზენტაციის დროს, ასევე მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: დაკვირვების ჩანაწერები, შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. იგივე მეთოდები წარმოდგენილია სკოლის მიერ წარდმოდგენილ მასალებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორების, აფექტური ფაქტორების, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია

- საბაზო საფეხურის  კურიკულუმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- გაკვეთილზე დასწრების ფორმა

შეფასება:
გთხოვთ,   ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ  ერთი  გრაფის  მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად  შეესაბამება
☐ ნაწილობრივ  შეესაბამება
☐ არ  შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
კათედრის წევრები გასაუბრების დროს ადასტურებენ, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან და მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი სასწავლო პროცესების გაანალიზება, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი აქვს სკოლაში შექმნილ კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დანერგვის მხარდამჭერ ჯგუფს, კათედრებს, დირექციას, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას,

აგროვებენ სხვადასხვა მონაცემებს, ხდება ამ მონაცემების დამუსავება, ანალიზი და მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომლებსაც წარადგენენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გაასახლებლად და ჩაშლიან განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია თუნდაც წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ასეთი ვალდებულება გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ დოკუმენტებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს წ
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში
- საგნობრივი ანგარიში

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| ს ტა ნ და რტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>საშუალო საფეხური | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება<br>ავტორიზაციის ექსპერ ტ | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი **2.4**ავტორიზაციის ექსპერტ | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება
1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას
სკოლის სკოლა ახორციელებს საგნობრივი ჯგუფის პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კურიკულუმის შემუშავება ხდება ესგ-ს გრძელვდიანი მიზნების გათვალისწინებით. მასწავლებლები საშუალო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, წარმოდგენილი საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, როგორიცაა: მოსწავლის, მშობლის, დირექციის. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს

კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას.მხარდამჭერ ჯგუფში გაერთიანებული არიან საშუალო საფეხურის მასწავლებლებიც საგნების მიხედვით. კათედრები იკრიბებიან რეგულარულად, მათ შორის წლის დასაწყისში, მსჯელობენ რესურსებისა და სწავლების მეთოდოლოგიის უპირატესობაზე, აანალიზებენ განვლილი სასწავლო წლის პრობლემებს და განიხილავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის იდეებს. კურიკულიმის შედგენისას საშუალო საფეხურზე განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება სწავლების არაფორმალურ მიმართულებებს, მაგ: პროექტებსა და საკლუბო მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საშუალო საფეხურის კლასის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო თემის გამოკითხვას, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები - ყოველივე ეს გათვალისწინებულია მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, კერძოდ, მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტოვობებით. რაც ასევე დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში თითოეული თემის ფარგლებში დამატებულია კომპლექსური დავალებების რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებაში ძირითადად მონაწილეობენ მასწავლებლები და მისი შემუშავება ხდება კათედრაზე, ასევე ისინი ითვალისწინებენ როგორც მშობლების, ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ინტერესებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში დიდ როლს ასრულებდა სკოლაში განხორციელებული შემდეგი აქტივობები: კომპლექსური დავალებების პროდუქტების გამოფენა სკოლის დერეფნებში და სპეციალურად გამოყოფილ სიივრცეებში ასევე მათ მიერ წინასწარ მოწოდებული სასკოლო პროექტის მაგალითზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, იმისა, რომ მომავალ საწავლო წელს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები უფრო მეტი აქტიურობით ჩაერთვებიან სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის შედეგად კიდევ უფრო უკეთ გამოიკვეთება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, გამოწვევები სწავლა-სწავლების პროცესში, პედაგოგები მეტად გამოიყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება და ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელებენ მუშაობას.

მართალია, სკოლა განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსს, მაგრამ, აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის ხელმძღვანელები, მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმებს, საგნის პედაგოგები აცნობენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. ასევე მშობლები სკოლის შესახებ ინფორმაციას იგებენ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა კლასის ხელმძღვანელებთან, საგნის პედაგოგებთან, დირექტორთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიიღონ ინფორმაცია ზემოთხსენებულ ყველა საკითხზე. დოკუმენტი ასევე თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს მასთან ჩართულები, მათ აქვთ პასუხისმგებლობა სასკოლო კურიკულუმის მიმართ, რადგან დაგეგმვის პროცესში თემის ფართო ჩართულობა აჩენს რეალურ ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.3 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურზე კურიკულუმები, მე-10 და მე-12 კლასებში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის მე-10 კლასში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (ფაქტობრივად ყველა თემის

ფარგლებში), რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით. მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შევსებულია ყველა თემის ფარგლებში ოთხივე სამიზნე ცნება , სამომავლოდ განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების პერსპექტივიდან. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ნაწილობრივ ქვეცნებებსაც. კურიკულუმები, რომლითაც იხელმძღვანელებს სკოლა, ძირითადად ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაზეც მოწმობს კურიკულუმის კონცეპტუალური ნაწილი, ამავეს აღნიშნავენ თვითშეფასების კითხვარში და ინტერვიუების დროსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სასწავლო პროცესი მოქნილია, წარმოაჩენს მოსწავლის ინდივიდუალიზმს. გაკვეთილზე იქმნება კეთილგანწყობილი, ინკლუზიური გარემო, სადაც მოსწავლე რეალიზებულად გრძნობს თავს, დაფასებულია ყველას აზრი. გაკვეთილებზე ვიყენებთ დამხმარე რესურსებსა და დამატებით სახალისო დავალებებს. სასწავლო აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, მახასიათებლებს; კურიკულუმსა და საგაკვეთილო გეგმებშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა. თვითშეფასების კითხვარსა და ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას სრულად

აქვს საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების შესაძლებლობა. სწავლების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან შეთავაზებული მოდიფიცირებული დავალებები და აქტივობები ხელს შეუწყობს დიფერენციაციას და მოერგება განსხვავებული მზაობის კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია მეორე მოდელი, რომლისთვისაც იგეგმება შეფასების რუბრიკების შექმნა. 2023-24 სასწავლო წლისთვის საგნობრივი კათედრები გეგმავენ დახვეწონ უკვე შემუშავებული ექსელის ცხრილები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს იქ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით წერილობითი კომენტარების მიცემა მოსწავლეებისთვის. აგრეთვე იგეგმება ამ პროცესებში მშობელთა აქტიური ჩართულობა. მშობლებისთვის სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების ფორმებისა და სტრატეგიების გაცნობა და მათი უკუკავშირების გათვალისწინება. იგეგმება კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა. პედაგოგები ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. იგეგმება კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კათედრის სხდომაზე ხდება გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, გადაჭრის გზების დასახვა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა. სკოლას აქვს გამოცდლება სასწავლო პროცესზე მასწავლებლების ურთიერდაკვირვების, რაც ყოველთვის საინტერესო პროცესია, საშუალო საფეხურის მასწავლებლები წარმატებული გამოცდილების საფუძველზე ცვლიან და ხვეწენ კურიკულუმს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2.3.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ მოსწავლეებს ეძლევათ აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა სასწავლო პროცესში. კომპლექსურ დავალებებზე, კომპლექსუირი ბუნების მქონე დავალებებზე, სხვადასხვა პროექტებზე სოციალური იქნება ეს პროექტი თუ სასწავლო, აქტივობებზე, ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლების აქტივობებზე მუშაობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და რომელთა განხორციელების პროცესი მოიაზრებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების და ძალების მობილიზებას. ასეთი მიდგომები კარგად ჩანს და მიზნობრივად არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით შემუშავებულ კურიკულუმში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პედაგოგებმა დაადასტურეს მზაობა ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს ყოველ სასწავლო წელს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა სასწავლო აქტივობები, პროექტები და მათი განხორციელების ვალდებულება, იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მათი წარმატებით განხორციელება ახალი ცოდნის მიღება წინარე ცოდნის გათვალისწინების და გამოცდილების გარეშე ვერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოხერხდება. ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე და ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. და დასძინეს, ისე აგებენ გეგმებს, რომ მოსწავლე თანდათანობით მიდის ახალ ცოდნამდე ნაცნობი და ნასწავლ მასალაზე დაყრდნობით. მოსწავლეებს ეძლევათ თემატური საკვანძო შეკითხვები, სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი, რომლებიც იწვევს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, პროვოცირებას ახალი ცოდნის შესაძენად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, უდიდეს ყურადღებას ვამახვილებთ სწავლის სწავლაზე. ვაფიქრებთ მოსწავლეებს არა მარტო, რა ისწავლონ, არამედ როგორ, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენონ სწავლა-სწავლებისას, რათა შეძლონ საკუთარი სწავლის მართვა, სწავლის დაგეგმვა და მონიტორინგი გაუწიონ თავიანთი სწავლის პროცესს. მაგალითად, შეაჯამონ შესასწავლი მასალა, გამოყონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, გააკეთონ ჩანაწერები, შეადგინონ დიაგრამები, აგერთვე შეეცადონ შესასწავლი საკითხის საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ, გაუსვან ხაზი ან გამოყონ სახელმძღვანელოში მთავარი ფრაზები, ინფორმაციის დასამახსოვრებლად ამოწერონ ძირითადი იდეები, დაყონ მთლიანი მასალა ნაწილებდ და ისწავლონ ნაწილ-ნაწილ და ა. შ. ასევე ყურადღებას ვამახვილებინებთ თუ როგორ შეძლოსნ საკუთარი ემოციების მართვა, როცა მოსწავლე რაიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან დაინახონ რა შეცდომა დაუშვა და იფიქროს მის გამოსწორებაზე, არ აჰყვნენ ემოციებს და ჰქონდეთ წარმატების იმედი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, კომპლექსური ტიპის დავალებების და სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქტიურად მუშავდება ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული, რადგან მათზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული და მათი წარმატებით განხორციელება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოუდგენელია ცოდნის ამ სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეულის) ერთიანობის გარეშე. იგივეს ადასტურებს კათედრის წევრები გასაუბრების დროსაც.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში გაწერილი თემები, საკითხები, ქვესაკითხები რომლებიც წარმოდგენილია სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ამასთანავე თითოეული თემის ფარგლებში, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ეს კავშირები კარგად ჩანს არა მარტო წარმოდგენილი კურიკულუმებში და მასში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, არამედ სკოლის მიერ დაგეგმულ თუ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში თუ აქტივობებში. მათი განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა იმ ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტურობასა და სანდოობას შეეხება. ეს კი გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. იგივე დასტურდება კათედრის წევრება გასაუბრების დროს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ნიმუში
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, რომელიც შემუშავებულია საგნობრივი სტანდარტების დაყრდნობით და რომლებშიც განსაზღრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები. გაწერილია ყველა სავალდებულო სასწავლო თემა, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტის ფარგლებში შედეგებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებას, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები კი აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით. კურიკულუმის განხორციელება კი დაგეგმილი კურიკულუმის მოთხოვნილებისამებრ ხორციელდება, ამიტომ გაწერილი თემა, საკითხები და ქვესაკითხები საუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, რაც გარანტია იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. ვითვალისწინებთ მოსწავლის ინდივიდუალურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომ თითოეული მათგანი ხასიათდება სხვადასხვა აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, უნარით, თვისებებით, ამიტომ ვცდილობთ შესაბამისად შვქმნათ პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობას მივანიჭებთ

პოზიტიურ ურთიერთობებს და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს საკუთარი და სხვათა გრძნობების მართვა და სათანადოდ რეაგირება, ადაპტირება გარემოსთან, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და ამავდროეულად გაუგოს თანატოლებსაც, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას, ამასთანავე გამოხატავენ მზაობას იგივე მიდგომები გამოიყენონ მომდევნო სასწავლო წლებშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

წარმოდგენილი დოკუმენტაციების გაცნობისას და კათედრის წევრებთან გასაუბრებითად დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია მოსწავლეთა შეფასება არა მარტო აკადემიური დონის შესაფასებლად, არამედ მისი შესაძლებლობების გამოვლენისა და სხვადასხვა გამჭოლი უნარ-ჩვევების და ღირებულებების მრავალმხრივ შეფასებისათვის. გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რადგან გაამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენაზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე, შესაბამისად შედგენილია და წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, მაგალითად, გაკვეთილზე ჩართულობის რუბრიკა, ჯგუფური მუშაობის რუბრიკა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები და სხვა. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის, აღნიშნეს პედაგოგებმა დაგეგმილი გვაქვს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური უნარების შეფასებას, შესაბამისად ვქმნით განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს საგნებისა და თემების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2.4-შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა არის ვალიდული-საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისი, სანდო - შემუშავებულია მკაფიო ინსტრუქციები, შეკითხვები, ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები, სამართლიანი - შეფასება არ არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამოკიდებული შემფასებლის პიროვნულ დამოკიდებულებებზე, არამედ დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, სქემაზე და ინსტრუმენტებზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვაგვარად შეაფასდეს. გამჭირვალე - მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ და ერთობლივადაც შეიმუშავებენ თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასედეს მათი ნაშრომი. იგივე დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც წარმოადგენს სკოლაში შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაციას სკოლა ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცედურა ეხმარება მასწავლებლებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში იმისათვის, რომ ყველასათვის ნათელი იყოს მათი პასუხისმგებლობები სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებასთან დაკავშირებით. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები ისახება შესაბამის დასკვნაში, რომელსაც იხილავს სასკოლო საზოგადოება და წარმოშობილი პრობლემების ამოფხვრის მიზნით სახავენ მისი გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები კურიკულუმებში. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, კანონმდებლობის შესაბამისად. ეს მონაცემებია: მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრები მატერიალური სახით, სკოლის არქივში მატერიალური სახით შენახულია საკლასო ჟურნალები; მატერიალური სახით არის შენახული მოსწავლეთა პირადი საქმეები, ელექტრონული სახით არის შენახული დამრიგებლების ანგარიშები მოსწავლეთა შეფასებისა და გაცდენების შესახებ, საგნის მასწავლებელთა ანგარიშები და რეფლექსიები. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ფურცელი როგორც მატერიელური, ისე ელექტრონული სახით, ასევე ინფორმაციის შენახვა არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, შეფასებებს იხილავენ ასევე პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაცულია ოქმების სახით. ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- მშობელთა კრების ოქმები.
- საგნობრივი კურიკულუმი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ფეისბუქ გვერდის ბმული;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას
1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

2.2.3. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სასკოლო საზოგადოებას შორის კეთილგანწყობილ, ერთმანეთის პატივისცემაზე, დახმარებაზე და თანამშრომლობით პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, რაც სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია, რაც ქმნის სასწავლო პროცესში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს, აღრნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსა და იკვეთება აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რა როლი აქვს სასწავლო პროცესში ერთმანეთის მხარდაჭერასა და პატივისცემას, ამის შედეგია ის, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ზრუნავენ ერთმანეთის წინსვლაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, გუნდური მუშაობის გააქტიურებაზე. პატივს სცემენ სხვათა მოსაზრებას, საპირისპირო აზრის გამოხატვისას არიან კორექტულნი, პოზიცია ყოველთვის არგუმენტირებულია. აღსანიშნავის ის ფაქტი რომ სკოლაში დამკვიდრებულია აქტიური პოზიტიური ურთიერთობა მშობლებთან, ეს კომუნიკაცია ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას, შედეგების გაუმჯობესებას. ასევე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლის დერეფანში წარმოდგენილია სივრცე, სადაც მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები მართავენ შეხვედრებს და ღონისძიებებს. განსაკუთრებულად აღნიშვნას ექვემდებარება სკოლაში მშობელთა საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ინიციატივებს, მოსაზრებებს, ამა თუ იმ წარმოქმნილ პრობლემას სკოლის დირექციასთან. ნებისმიერი მშობლების მხრიდან წამოჭრილი პრობლემა და გამოწვევა განიხილება, გაზიარებული პასუხისმგებლობით, ურთიერთანამშრომლობით რეჟიმში. გაანალიზდება ერთობლივად და დაისახება გზები თითოეული მოსაზრების, ინიციატივისა თუ პრობლების გადაჭრის. ყველაფერი კი ქმნის ფონს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.2.3. 2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
წარმოდგენილ დოკუმენტებშიც და კათედრის წევრებთან გასაუბრებითად დასტურდება სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, კომპლექსურ დვალებებს , რომლებიც წარმოდგენილია და გაწერილია კურიკულუმებში და მისი განუყოფელი ნაწილია, არაფორმალური განთლების ხელშემწყობ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებაში მაქსიმალურად არიან მოსწავლეები ჩართულნი თავისი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების და მიდრეკილების მიხედვით. მოსწავლე სწავლის პროცესის წარმმართველია. სადაც უდიდესი ყურადღება ენიჭება მოსწავლის ავტონომიურობას, მისი წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას.ნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ინტერესების გასათვალისწინებლად ვატარებთ კვლევებს კითხვარის გამოყენებით და მიღებული შედეგებს ვითვალისწინებთ სასკოლო კურიკულუმზე მუშაობის დროს.რაც შეხება 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება დაეყრდნობა ახლადარჩეულ სადიაგნოსტიკო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტებს. ეს პროცესები და დამოკიდებულებები წარმოადგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებულად მიმდინარეობის დასტურს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.2.3. 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. ეს დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისას და ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც. კათედრის წევრებს შორის, ასევე სხვადასხვა კათედრებს შორის ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, ტარდება ერთობლივი სამუშაო შეხვედრები, ამ შეხვედრებზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასთან ერთად, ასევე მიმდინარეობს პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება, ამასთანავე ერთობლივად ადგენენ სასწავლო წლის მანძილზე არაფორმალური განათლების ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.2.3. 4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის
სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. საშუალო საფეხურის კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირდებიან და შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები,
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი,

- მასწავლებლებთან ინტერვიუ.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლა შინაგანაწესი
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ასევე სხვა დოკუმენტებშიც, რომლებშიც დასტურდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების ვალდებულება და ეს პროცესი მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ სკოლაში განსაზღრულია და ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მიმართულებით. ასევე, სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით დაკომლექტებულია კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული გეგმის მიხედვით. მიმდინარეობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შემდეგ მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით, წერენ რეფლექსიებს, ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის მიზნით შექმნილი აქვთ ყველა მასწავლებლისთვის ონლაინ პორტფოლიოები, სადაც მასწავლებლები ტვირთავენ თავიანთი მუშაობის დამადასტურებელ მასალებს. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი, თავიანთი ვალდებულებებითა და მოვალეობებით, რომელიც გაწერილია მათ დებულებებში, ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება. მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა სასწავლო პროცესის განუყოველ ნაწილად არის ქცეული, პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას, ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. შეფასების და მონიტორინგის სამი მიმართულებიდან ზუსტად ორი მიმართლება: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მიმართულია ზუსტად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- საშუალო საფეხურის  კურიკულუმი
- მასწავლებელთა ხარისხის განვიტარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის  ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის დანერგვის მხარდამჭერი ჯგუფი
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები

შეფასება:

გთხოვთ,   ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ  ერთი  გრაფის  მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად  შეესაბამება
☐ ნაწილობრივ  შეესაბამება
☐ არ  შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

2.3.2. 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, რომლებიც გამოყენებულია მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან ურთიერთობისას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, პროეტების მონაწილეობის პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა ნაშრომებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

დოკუმენტებში გაწერიალია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, თუ როგორ არის ჩართული მოსწავლე სწავლების პროცესში, დისკუსიის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მეცადინეობის, პრეზენტაციის დროს, ასევე მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: დაკვირვების ჩანაწერები, შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. იგივე მეთოდები წარმოდგენილია სკოლის მიერ წარდმოდგენილ მასალებშიც.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორების, აფექტური ფაქტორების, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, მოსწავლეთა განვითარების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- სსიპ ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გაკვეთილზე დასწრების ფორმა

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
კათედრის წევრები გასაუბრების დროს ადასტურებენ, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა ან და მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი სასწავლო პროცესების გაანალიზება, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი აქვს სკოლაში შექმნილ კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დანერგვის მხარდამჭერ ჯგუფს, კათედრებს, დირექციას, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას, აგროვებენ სხვადასხვა მონაცემებს, ხდება ამ მონაცემების დამუსავება, ანალიზი და მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომლებსაც წარადგენენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გაასახლებლად და ჩაშლიან განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია თუნდაც წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ასეთი ვალდებულება გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ დოკუმენტებში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს წ
- სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში
- საგნობრივი ანგარიში

**შეფასება:**

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 22. 11. 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: